ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

01/10/2024

MES 9 24 0001249002

გადაწყვეტილება

„ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო და წესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებისა და N585242 ოქმის მესამე ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 23 მაისის N585797 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და გადაწყვეტილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „5. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ფრანგული ენა; “ .

2. 2023 წლის 23 მაისის N585242 ოქმის მესამე ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა, კერძოდ გადაწყვეტილების ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**გადაწყვეტილება**:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგულ სკოლას (ს/კ: 204517077) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 28 სექტემბერი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ფრანგული ენა.“.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 01 ოქტომბრის N1246499 სხდომის ოქმის მერვე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ელექტრონული
მზამბეჭდმეული
ელექტრონული